423
1872/3

ცისკარი.

1872

სეკტემბერი.

წელიწადი მეთექვსმეტე.

წოდება თხზულებათა:

I, — „ცისკრის“ რედაქციისაგან.
II, — მ.—ას. (ლექსი) ი. კერესელიძისა.
III, — უკრაინის დიპლომატები (მოთხრობა—ნათარგმნი). ივ. კერესელიძისა
V, სხვა ⁄ სხვა ამბავი.

ტფილისს.
მარტირუზიანის ტიპოგრაფიაში.

XIV
119.

„ცისკრის“ რედაქციისაგან

16.

ვინცა კითხულობს ჩუენს „ცისკარსა“ იმ წლითგან, რა წლითგანაც დავიწუეთ გამოცემა, იმას კარგათ მოეხსენება, რომ მომავალს 1873 წელიწადს ეს ჟურნალი გადადგება მეჩვიდმეტეს წელიწადში, რაც აკუთრივ ჩუენ ველთ მძღვანველობით გამოდის; ამასთანავე ესეც მოეხსენება, თუ რა ღირსებითაც გამოიცემა, ან რა შრომაც ეჯირება. მართალია, ბევრი ნაკლულევანება ჰქონია, მაგრამ ეს-ეც მართალია, რომ ამ ნაკლულევანების მიზეზი ეოფილა ღონის-ძიება, რადგანც იმდენი ველის მომწერნი არა ჰეოლია, რომ შესძლებიეო ღირსეულად გამოცემა. კიდევაც ჩუენს მეცადინეობას ⁂ ამასთანავე სასოებას არა ვკარგავთ ⁂ ვეცდებით მომავალს 1873 წელიწადს გამოვცეთ ბევრით უკეთესად. ახლა ამისმეტს ვეღარას ვიტყვით,—ჩუენის მეჩვიდმეტის წლის შრომის პატივისცემად,— პატივის-საცემად იმ მამა-პაპეულის ენისა ⁂ იმ მწიგნობრობისა, რა წმინდა ქართულის ენითაც მიეცემა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი,—იმედი გვაქუს ველს მოგვიწერენ ქართული ენის მიმდევნი პირნი, ამითი გაგვამხნევებენ, რომ უკეთ ვიზრუნოთ საშობლო ენისათჳს, არ დავდიოთ არა ვითარსა სიშურესა ჯ შეცილებასა.

ფასი საკუთრივ „ცისკრისა“ არის რ ვ ა მანეთი გაგზავნით. ვისაცა სურდეს ამ ჟურნალის დაბარება, ვთსოვ ამ ადრესით დაიბარონ ჯ ხვედრი ფასიც გამოგზავნონ:

„ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს.

Редактору грузинскаго журнала „Заря“ Ивану Кереселидзе.—

რედაქტორი ჯ გამომცემელი ი. კერესელიძე.

ტფილისს.

1872 წელსა. სექტემბრის 25-სა.

Ე.—ᲗᲚ.

შემიუვარდა ეგ ხმა ტკბილი,
დაჭკა გრძნობით დაირასა,
თუ ხარ საქართველოს შვილი,
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილს ხმასა.

—

მაგა ხმამან სანეტარომ,
მომიმატა მწუხარება,
მასში ისმის სევდიანი,
ჩემის ქვეყნის მდგომარება.

—

მამა-პაპათ ეგ მაგონებს,
ეგ მიწერულებს ტანჯულს გულსა,
ეგ არის რომ წარმომიდგენს,
ჩემს სამშობლოს დაჩაგრულსა.

—

ტურფავ დაჭკა, დაჭკა გრძნობით,
შემოსძახე ქართველურად,

დაჭკა, მაგ ხმას მსურს დავაკლა,
მსხვერპლად, თავი ჩემი სრულად.

შენმა მღერამ დამაღრუბლა,
მომიმატა მწუხარება,
მასში ისმის სევდიანი,
ჩემი ქვეყნის მდგომარება!

ი. კერესელიძე.

1872 წელსა ფებერვლის 18.
ქ. ტფილისს.

უკრაინის დიპლომატები

(მოთხრობა — ნათარგმნი).

როგორც მახსოვს, იუნისის თვის ოც და ერთი რიცხვი არაფრით შესანიშნავი არ არის. არც ძველს, არც ახალს; არც საქვეყნო და არც ჩუჩნის ქუჩუნის ისტორიაში, მაგრამ ეს რიცხვი ათას რვა ას ოც და თორმეტსა წელსა, შეიქნა დიდად შესანიშნავი დღე. ამ სამარადისოდ დაუვიწყარს რიცხვში, სწორეთ იქნებოდა ოცი მინუტი თორმეტის საათისა, თითქმის შუადღისას, მოწმენდილს და მორაკრაკებულს მზიანს ღღეს, იქნებოდა სწორეთ ოცი გრადუსი სიცხისა, ეზოს ბატები ნიკიფორე ომელიანოვიჩის ტბრუნკევიჩისა, გადავიდნენ თავის ბატრონის მამულის საძოვარს გარეთ და დაიწყეს სიარული იმ მინდორზედ, რომელიცა ეკუთნოდა კირილე ბეტროვიჩს შბაკსა. საკვირველი ეს არის, ეს ბატები არცა ვის დაურიგებია, არცა ვის უსწავლებია და არცა ვის გაურეკავს, მხოლოდ თავიანთ

თავად ჩაიდინეს ეს უწესო საქმე. ეს ბატები, თეთრი თუ ნაცრის ფერი, დედალი თუ მამალი. სულ ერთიან იქნებოდნენ ცამეტნი. ეს ბატების დანაშაული ისე ჩაივლიდა, თუ რომ ბატებს არ წაესდინათ ის სნული, სადაცა დათესილი იყო შვრია; მიიყლიდნენ, მოიყლიდნენ ⰴ ისევე დაუბრუნდებოდნენ, თავის პატრონს; ან ვინ შეიტყობდა, ან ვინ გაიგებდა, ისე ჩაივლიდა ის საქმე ⰴ საისტორიოდ არ დარჩებოდა, მაგრამ განგებას სულ სხუა ფერივ უნდოდა.

ეველამ ვიცით, რომ ბატი ყეყეჩი ფრინველი არის; იმას სრულებით არაფრის გაგება არა აქუს ⰴ ამისათჳს საიდან ეცოდინება სხვის საკუთრებას რა ძალა აქუს; მამულის მეპატრონეების დავისა ხომ სრულებით არა გაეგებათრა. ეს ცამეტი ბატები რომ გადავიდნენ კირილე პეტროვიჩის შპაკის მამულზედ ⰴ რომ დაინახეს მწკანეთ მობიბინე შვრია, აბა ჭა! დაესივნენ ⰴ უწყალოდ გაპარსეს. ამ ბატების საუბედურად, მადიანად ჯამაში რომ იყვნენ, გამოიარა კირილე პეტროვიჩის შპაკის მოურავმა, რომელმაცა რამწავს დაინახა ბატები, მაშინათვე მორეკა თავის ბატონის ეზოში. კირილე პეტროვიჩმა მაშინათვე შეიტყო ეს ანბავი ⰴ რადგანაც ხოლერიანის აგებულება ჰქონდა, როგორც დარწმუნებული იყო კალენდარით, სადაცა მოემებნა თავისი დაბადების ვარსკვლავი, გაწყრა, გაანჩხლდა, იჯავრა, სრუ-

ლებით არ წარმოუდგა ფიქრათ, თუ ბოლოს ამ საქ-
მეს რა შეუდგებოდა ⁂ უბძანა ეს ცამეტივე ბატი დაე-
კლათ ერთად... დიახ, სწორეთ, ის ცამეტივე ბატი
დააკვლევინა, რომელნიცა ეკუთვნოდნენ ნიკიფორე ომე-
ლიანოვიჩს ტპრუნკევიჩს. საწყალი ბატები! დაუვიწყარი
იქნება ეს ოც ⁂ ერთი რიცხვი ივნისის თჳსა... მა-
გრამ არც კირილე პეტროვიჩი შეპაკი დაივიწყებს ამ
დღესა... აი ამ საქმიდგან შემდგომში რა წარმოდგა:

ამ ღირს შესანიშნავის დღის,მეორეს დღეს, რა
მეიტეო ნიკიფორე ომელიანოვიჩმა ტპრუნკევიჩმა თავის
ბატების უბედური ამბავი, მაშინათვე აუიდვინა სამი
თაბახი ათ შაურიანი ღერბოვის ქაღალდი, დაწერა სა-
შინელი გრძელი არზა, ვრცლად აღწერა საქმის გარე-
მოება, მოიხსენია, რომ ახლო მეზობელი მამულებისა,
კირილე პეტროვიჩი გვარად შეპაკი, აწუხებს მას, ტპრუნ-
კევიჩს, როგორც მცირე მამულის პატრონსა ⁂ ამლევს
სხუა ⁂ სხუა შეუსაბამოს შეურაცხებასა: ეოველ წლივ,
ეოველ თვეს, ეოველს დღეს ⁂ ეოველს საათს; ბოლოს
აღწერა, თუ როგორ დაარბივა, თავისის მძლავრობით
როგორ წაართო ცამეტი ბატი ⁂ შეუბრალებლად რო-
გორც დააკვლევინა. რასაკვირველია ესეც დაუმატა, თუ
რამდენი მოშენდებოდა ამ ცამეტითგან ათის წლის
განმავლობაში, ან ხორცს როგორ გაჭეიდდა, ან რამ-
დენს კვერცხსა, ან ბუნბულს ⁂ ფრთასა კალმებისათჳს,

შეადგინა ფულათ ჯამი ⁂ ამ სახით შეიტანა სუდში საჩივარი.

ნუ გეშინიან მკითხველო, არც კირილე პეტროვიჩმა დააკლო. ამ საჩივრებში ის უფრო გამოქნილი იყო. ეს რომ გაიგო, მაშინათვე იყიდა ექვსი თაბახი ღერბოვის ქაღალდი იმავე ღირსებისა ⁂ დაწერა არზა, უფრო იმაზედ საშინელი, როგორიც დაეწერა ტპრუნკევიჩსა. აქ აღწერა იმან ვრცლად, თუ რა შეუსაბამოდ მოპურობია მას ტპრუნკევიჩი, თჯთ იმისი მოსამსახურენი ⁂ ბოლოს ისე გაუსადეს საქმე, რომ ბატებმაც კი აიკლეს ის, დაარბიეს ⁂ რაც რამ იმ წელიწადს შვრია დათესილი ჰქონდა, სულერთიან გაუმოვეს, მრთელი ოცი დღის მიწა. ათის წლის განმავლობაში რასაც შეადგენდა ანუსსა თავისის სარგებლითა, ასე რომ ამისი ზარალი ორჯელ მეტი შესდგა, ვიდრე ტპრუნკევიჩისა.

აბა რასაკვირველია, რომ საქმე გასურდა. დაიწყეს გამოძიება, შემოწმება, გაჩხრეკა, გამოჩხრეკა; ამას გარდა, ვინც მოდავე პირი სუდს გაიწვევდა ადგილობრივ, ან სადილებს გააკეთებდა, ან მოწმებს დაბარებინებდნენ, უნდა თჯთან ესარჯა; ქაღალდების მიცემით, გამოძიებით, კითხვით, გამოკვლევით, ისეთი დიდი საქმე შესდგა, რომ ორი კაცი ვერ ასწევდა, ბოლოს ეს ამდენი საჩივარი, საქმის უკან დევნა ⁂ ფულების სარჯვა,

ორივე მოდავე ჰირებს მოსწყინდათ, ან როგორ არ მოსწყინდებოდათ რომ, 1837 წელიწადში, ჯერ კიდევ მოსაპართლეებს ცნობაში ვერ მოეყვანათ ვერც ერთის მსრის ზარალი, ვერც მეორისა. ამდენმა სუდის ადგილობრივ მისვლა-მოსვლამ, იმათმა სადილების გაკეთებამ, მოწმებზედ სარჯმა, რომ ძრიელ შეაწუხეს, მეტი გზა აღარ იყო, უნდა თჯთონვე მორიგებულიყვნენ. ამ მორიგების ლაპარაკში რომ იყვნენ უცებ საუბედუროდ კირილე ჰეტროვიჩის შვაკისა, ნიკიფორე ომელიანოვიჩ ტპრუნკევიჩთან მოვიდა ერთი კაცი ჯ ურჩივა არ შერიგებოდა; ისეთს ასალს არზას დაგიწერო, რომ სულ ერთიანათ რაც რამ ზარალი მოგსვლია ამ საქმეზედ შვაკს გადავახდევინებ ჯ სასჯელსაც მივაცემინებ, თუ ჰოვერნიათ მე დამიჯერო, ამას გარდა დაარწმუნდა ტპრუნკევიჩი, რომ რამწაგს ჩემს არზას წაიკითხავს შვაკი, ისე შეშინდება, რომ მაშინათვე მრთელს ზარალს თავისის ნებით მომცემსო.

სიხარულისაგან აღტაცებაში მოსული ნიკიფორე ომელიანოვიჩი ტპრუნკევიჩი მაშინათვე ამ რჩევაზედ თანახმა შეიქნა, შეეკრა ჰირობით, რომლით მოვალე იყო ამ ჰოვერნიისათჯს თავისი შრომის ფასი ემლია, სმა ჯ ჯამაც იმისი ეოფილიყო, თავის ეკიპაჟით ეტარებინა ჯ რაც რამ სარჯი მოუნდებოდა ესეც ემლია. არზა დაამზადეს, ველი მოაწერეს ჯ მისცეს . . .

რა შეიტყო ამ არზითგან კირილე პეტროვიჩმა? პირველად რომ იმ არზაში ისსენიებს კირილად, რომელზედაც მრავალჯერ შეიტანა საჩივარი, რადგანაც შეურაცხებად მიაჩნდა; მეორედ ეს შეიტყო, რომ იმაში ეწერა, კირილა პეტროვიჩი, რადგანც უსაქმო, მცონარე ჯ ზარმაცი კაცია, ამისათჳს საჩივარი უეკარს ჯ რაღაცა შარებს ეძებსო; ბოლოს როდესაც წაიკითხა არზაში, შპაკი გვარად ამისათჳს არის, რომ მაგის მამაპაპებს სსუა საქმე რომ არა ჰქონიათ, შროშნებისთჳს უდევნიათ, იმათზედ უნადირნიათ, ამისათჳს იმათი გვარისანი არიან ჯ ჯკუაც იმ ფინველებისა აქუსთო, მაშინ მოეკიდა ამ შპაკს ცეცხლი ჯ მეტის სიანჩხლისაგან რომ ვერა გაიგორა, დაადო ხელითგან გაზეთი, რომელსაცა კითხულობდა, ჩაჯდა კურიერის ტროიკაში ჯ გასწივა ჩერნიღოვისაკენ; თუმცა დახარჯა ბევრი ფული, მაგრამ იმან მოქექა მრთელი მალორუსიის არსიკის ქაღალდები, დამტკიცებაები, დოკუმენტები, თუ ვინ იუვნენ ძველად შპაკები, როგორ დიდებაში იუვნენ გეტმანების დროს ჯ რა მიზეზით მისცეს ეს გვარი, ან ღერბი, რომელზედაც დახატული იუო შროშანი პირდია, ეს იუი მომღერალი. ეს დაგვავიწყდა მკითხველო რომ შროშანს მალორუსიელების ენაზედ, შპაკი ჰქვიან. როდესაც ეს ძვირფასი დოკუმენტი იპოვნა, მაშინათვე დაიჭირა ისეთი პოეერნია, რომელიცა პირ ჯ

ჰირ არზებს თეთრათა სწერდა; ამას გარდა ისეთი მოქ-
ნილი იყო, რომ თუნდა ორმოცდ ათს წელიწადს
დავასა სდევდა, ოღონდა ფულები კი გეძლივათ, ამ
გამოჩენილის ადვოკატის გვარი იყო ხვოსტიკ-ჯმუნ-
ტოვსკი.

ამ კეთილის მეოფელმა ადვოკატმა მიჰყო საქმეს
ველი. რა დაარღვია ტპრუნკევიჩისაგან მოგონებული
ცილები შპაკების გვარის შესახებ, მერე შეეხო თჳთ
ტპრუნკევიჩის გვარსა ჯ რადგანაც ამ გვარის შესაკალს
ასოებში გამოიხატება „ტპრუ“ ამისათჳს ის ფიქრობდა,
რომ იმისი ჰირველი მამა-ჰაპანი ცხენების ჯინშინი
ეოფილან, ან მეჯინიბეთ ეოფილან ვისიმე ჩათლახა
კაცის სახლში, რომ ცხენის გვარი დარქმევია. ნიკი-
ფორე ომელიანოვიჩმა ეს რომ წაიკითხა, მეტის სიბ-
რაზით, ცოტა გაწყდა, შუაზედ არ გასქდა. ბოლოს
კირილე ჰეტროვიჩის ადვოკატმა საჩივარს მიაყოლა
შპაკების აზნაურის შვილობის შტო ჯ ითხოვდა შეუ-
რაცხებით მოხსენებისათჳს, ტპრუნკევიჩი სისხლის სა-
მართლისათჳს მიეცათ.

აბა ახლა გახურდა აი საქმე! ბატების საჩივრის
საქმე ჯერ სანად დარჩა, როგორც საჩივარი უეუნურთ
ჰირუტეევებზედ,—ახლა შეუდგნენ გონიერთ არსებათ
საქმის გაჩხრეკასა. დაიწყეს წერა; ახლაცა სწერენ ახა-
ლის წესებით, კიდევაცა დიდხანსა სწერენ, სწერენ იქა-

მდისინ, მინამ მოდავენი არ შერიგდებიან; არა გვგონია კი, რომ როდესმე შერიგდნენ, ამისათჳს რომ საკუთარი სხჳა შემთხვევა, უარესი, აბრკოლებს იმათ შერიგებასა.

რაც აქამდინ გიანბე მკითხველო, ეს წინა სიტყვაობა იყო, ამაზედ მეტს ჩუჱნ იმათ საჩივარს აღარ გამოუდგებით; ესეც ამისათჳსა ვთქვით, რომ ამ საჩივრების დიდი დამოკიდებულობა ჰქონდა იმ ანბავებისედ, რომელსაცა ახლა გიამბობთ.

კირილე ჴეტროვიჩი შჴაკი, სიუმაწვილის დროს დიდხანს არა მსახურებდა სამხედროს ნაწილში ᲓᲐ უფრო ცოტა ემსახურა აღმორჩევით თავის საზოგადოებასა. სამხედრო ნაწილი ამისათჳს ძალე დაუტევა, რომ შეიტეო ოჯი უნდა მომხდარიყო ოსმალეთთან. ბოლოს ორ თვეს ზასედატლათ იყო ᲓᲐ ორის თვის შემდეგ რა გააუქმეს ის ალაგი ᲓᲐ გამოვიდა რა სამსახურითგან, დაბრუნდა შინ, თავის სოფელში. ამ დროს მშობლები დაესოცნენ ᲓᲐ ის შეიქნა სრული ჴატრონი სამას ორმოც ᲓᲐ შვიდმეტის სულის ყმისა ᲓᲐ მამულებისა. ის შეიქნა ნამდვილი ასნაურის-შვილი. შეირთო ცოლი კარგის მამულის ჴატრონი, დაადგინა თავის მამულში

წესი, დაიკირა კარგ ფასად მოურავი ⁄ სოგჯერ თი-
თონაც შედიოდა თავის ეკონომიის საქმეში, რასაკვირ-
ველია როდესაც დრო ჰქონდა თავის უფალი. თავის-
უფლების დრო იმას ძრიელ ცოტა ჰქონდა; იმას ძრი-
ელ უეკარდა ჰოლიტიკა ⁄ ამ ქინის მოსაკლავად უე-
ზდნის უჰრავლენიის არსიკარიუს ამლევდა ფას იმ ჰი-
რობით, რომ რაც წარსულის მრთელის წლის ვედო-
მოსტები იო, ის გასეთები ერთად მოეტანა ⁄ ეოსო-
ვებინა. როდესაც წარსულის მრთელის წლის გასეთებს
მოუტანდნენ, მაშინ ის შეიკეტავდა კარებს, შევიდოდა
თავის „კლაბინეტში“ როგორც ის ამბობდა ხოლმე ⁄
აქ ჯერ ჰირველად ამ ძველის წლის გასეთებს მოი-
ეანდა წესში, ნომერს ნომერთან დააწყობა, აკინწავდა
ხოლმე, შეჭკერავდა ⁄ ამას დიდი დრო უნდებოდა.
სსვისათჯსაც ვერ შეეკერვინებინა, რა არის არ წაჰის-
დინონო ⁄ ველ-მეორედ თავში საცემი არ გამისდესო.

როდესაც ამას სულ გაათავებდა, ახლა მიჭეოფდა
ველს კითხვასა. ამ კითხვაშიაც თავისი წესი ⁄ რიგი
ჰქონდა. ჯერ ჰირველად გადაიკითხავდა დიდის ეურად-
ლებით შინაურს ამბავებს, ⁄ ახალს კანონის დებულე-
ბას, ან რაც რამ შინაური ანბავი მომხდარიეო რუსე-
თში. როდესაც შინაურს ანბავს გაათავებდა, მაშინ მსია-
რულად შესედავდა თავის ცოლს ⁄ ეტეოდა: ახლა ჩე-
მო ფენა სტეფანოვნა, სუეველაფერი ვიცი, ჩემო სული-

კო, რაც კი რამ მომხდარა წარსულს წელიწადს მრ-
თელს რუსეთში.

— აბა რასაკვირველია ყველა გეცოდინება, მიუ-
გებდა სოლომე ფენა სტეფანოვნა.—არა თუ რუსეთში,
რუსეთის გარეთ რაც ანბავებია, ისიც კი იცი.

„არა, ჩემო სულოჯან, ეგ ჯერ არ ვიცი, მაგრამ
ამ წლის ბოლოს" კი ეგეც მეცოდინება, მაგრამ ნუ
შემიშლი შენი ჭირიმე."

შეგიდოდა ამ ლაპარაკის შემდგომს თავის კლაბი-
ნეთში ტ დაიწყებდა კითხვას, თუ რა მომხდარიყო
ისპანიაში. ის ძალიან ესარჩლებოდა ახალგაზდა, მცი-
რე წლოვანს ისპანიის კაროლის ქალსა, რომელიცა
უნდა გამეფებულიყო; ამ ქალის მოწინააღმდეგები კარ-
ლისტები იყვნენ ტ იმათზედ ძრიელა ჯავრობდა. რა
დიდის ყურადღებით კითხულობდა ისპანიელების გარე-
მოებას, უცებ ძრიელ გაწყრა ვედომოსტების რედაქტორ-
ზედ. აი რისათჯს: ისპანიაზედ რომ კითხულობდა,
ერთს ალაგს შეიტყო, რომ სრისტონოსებს დაემარცხე-
ბინათ კარლისტები, ეს დიდად იამა ტ გაესარდა, ბო-
ლოს საურანგეთში რომ გადავიდა, იქ სულ სხუასა
სწერდნენ ჰარიჟში; კარლისტებმა სრისტონოსცები დაა-
მარცხესო. დაუწყო საშინელი ლანძღვა რედაქტორსა.
არა, რათაო, იმახოდა ის, ჰარიჟში რათა ბეჭდავდნენ
ამ ცრუ ანბავსა, რატომ ჰირ ტ ჰირ ჩუსნში არ დაბე-

ჭდელ. რომ მალიან გაცსარდა, არ იუო რომ უვირილი შექნა.

„ნუ ჯავრობთ აგრე კირილე პეტროვიჩ! არიგებდა ცოლი; უგ მეგაზეოები სსუა რჯულისანი არიან, მუსულმანები არიან სულ ერთიან, მარსვაში სორცსა სჭამენ; იმათი ფიქრი სულ ის არის, მართლმადიდებელნი გაჯავრონ, სისსლი წაუსდინონ, გაანჩსლონ, აი როგორც ახლა თქუენ, გაგაანჩსლეს. შეაფურთსე ჩემო სულიკო მაგ გაზეოებსა!

როდესაც გაათავებდა ისპანიას, ახლა გადავიდოდა საფრანგეთში, რომელიცა იმისის აზრით დიდათ ეწეოდნენ სრისტანოსებსა; მერე სსუა სახელმწიფოების ანბავს წაიკითხავდა ⁄ ბოლოს დაბოლოვებდა ანგლიით, რომელნიცა ეჯავრებოდა, რადგანაც ჩუმათ კარლისტებზედ იარაღსა ჭეიდნენ. როდესაც პოლიტიკას გაათავებდა, მერე განცსადებაებს სახელმწიფოს, თუ კერძოს წაიკითხავდა რიგრიგით. რა მამულების გაყიდვაზედ მიდგებოდა საქმე, ამასაც დიდის უურადღებით მოისმენდა ⁄ სულ ბოლოს შეუდგებოდა იმ განცსადებაების კითხვას, თუ ვის რა ძაღლი დაეკარგა, ვის კატა ⁄ ამ გვარები.

შაფათობით, ამის საუბედუროთ გაზეთების კითხვა მოეშლებოდა კლაბინეთში. ფენნა სტეპანოვნას დაწესებული ჭქონდა, რომ ეოველ შაფათს დღეს სახლების

ჰოლები ერეცხნათ. რადგანც ჰირველად ცოლ-ქმრობის შეერის დროს ერთმანეთთან ჰირობა ჰქონდათ, ეველას თავისი საქმე გაეკეთებინა სახლში, ⁂ ერთი მეორის საქმეში არ გარეულიეო, ამისათჳს კირილე ჰეტროვიჩი ცოლის საქმეში არ ერეოდა ⁂ შაფათს დღეს მრთელი დღე რადგანც ჰოლებსა რეცხავდნენ ცოლის ბძანებით, ამისათჳს თავის კლაბინეთს იმ დღეს თვალითაც ვეღარა ნახავდა. მეტი გზა არ იეო, უნდა აეკრიფნა თავისი გაზეთები ⁂, თუ კარგი დღე იეო, ბაღში უნდა წასულიეო საკითხავად, თუ არა ⁂, წვიმიანს დღეს, მეტი გზა არ იეო, სადაც დურგლები უმუშავებდნენ, იქ მივიდოდა ⁂ იმათ რახარუხში კითხულობდა, ⁂ თან უსაროდა კარლისტების დამარცხებაზედ.

ამ გვარი არევ-დარევა სახლში, ვერაფრათ იამებოდა კირილე ჰეტროვიჩსა. როდესაც კლაბინეთში შევიდოდა გაზეთების საკითხავად, იქ კარებს შეიკეტავდა ⁂ თავის ცოლს ფენა სტეფანოვნასაც კი არ უშვებდა არასგზით, მინამ ერთს სტატიასაცარი არ გაათავებდა, მაგრამ ბაღში ⁂ სადურგლოში კი თავისუფლად შევიდოდა ხოლმე ცოლი ⁂ იქ უშლიდა კითხვასა; იმისის აზრით დიდი მიზეზები ჰქონდა სახლის შესახებ რომ მივიდოდა მოსალაპარაკებლად.

ჩვეულებრივ ერთს შაფათს დღეს, რა ადგა დილით ადრიან კირილე ჰეტროვიჩი, მინამ მოცვივდებოდნენ

ჰოლის მრეცხავები წელით სავსე ვედრებით, წამოავლო მოსკოვის ვედომოსტებს ველი, სალათით, ტუფლებით, ყალფაღით ‌ᲯᲐ შეყიდა ბაღში, სადაცა დაჯდა სკამეიკასედ ვაშლის ხის ძირში. რა დახედა გაზეთს, მოულოდნელად ეცა თვალებში სტატია, შესახებ კარლისტების დამარცხებისა. დიდის სიამოვნებით ‌ᲯᲐ სიხარულით გადაიკითხა ეს სტატია სამჯერ ‌ᲯᲐ ოთხჯერ, მერე იმეორებდა ზეპირად; თუ რამდენი კაცი მოეკლათ კარლისტებისა. ამ დროს უცებ წამოადგა თავს ფენა სტეფანოვნა . . .

ჯერ ასლოს არ მისულიყო რომ ქმარმა თვალი შეასწრო იმისაკენ მოვიდოდა ‌ᲯᲐ არ იყო რომ შეწუსდა იმის დასასვამად, რადგანც კითხვას დაუშლიდა. რა მიეიდა ცოლი ქმართან ‌ᲯᲐ არ მიაქცია რა ყურადღება იმის შეჯმუსვნილს სახეს, დაუწყო ლაპარაკი!

„ხედავ სად მოსულან! მე შენ ჩემო სულიკო აგერ ერთი საათია დაგეძებ. მრთელი სასლი გადავაქოთე ‌ᲯᲐ ვერ გიპოვნე.

კირილე პეტროვიჩი რა ადევნებდა თითს გაზეთის სტატიას, კითხულობდა“ კარლისტების მსრიე დაიხოცნენ . . . მაგრამ რომ ნახა ცოლის არა შორდებოდა, მინამ პასუხს არ მისცემდა; ესეც გაეპასუხა.

— არა, სად მიპოვნიდი სასლში, რომ ჰოლებსა რეცხამენ.

,,რას ანბობ, სადა რეცხამენ, დღეს დილით ბიჯებს დასმინებოდათ ჯ ახლა ემზადებიან გასარეცხათ.

— გამოველი ჯ გავათავე, ახლა უკან აღარას გზით აღარ წავალ, მინამ სულ არ მორჩებიან. მერე რა გინდოდა ჩემგან?

,,მინდა სულიკოჯან საქმეზედ მოგელაპარაკო.

— როდესაც მე გაზეთების კითხვას დავიწყებ, თქუენ მაშინ გიჩნდებათ საქმე. ცოტა დრო მომეცით ჩემო კარგო, რომ ქვეყნისა გავიგო რამე. ესეს არის ომი დაიწყებს ჯ როგორც ვხედავ დიდი სისხლის ღვრა იქნება. მოვრჩები ამას, ვნახავ რით გათავდება ჯ მერე თქუენს საქმეს მოვისმენ.

,,კარგია ერთი ღუთის გულისათჯს! აქაო ჯ ომი დაიწყესო, აღარაფერს საქმეს ეურს აღარ ათხოვებთ. მოიგონეთ—თქუენი წლოვანება, რაღადროს თქუენი ომიანობა არის.

— ოჰ, რა თავს აბეზრებთ კაცსა! მითხარით ჯ გაათავეთ, რა საქმე გაქუსთ ჯ თავი დამანებეთ.

ფენა სტეფანოვნამ ამოიღო ჯიბითგან შუშით წამალი.

,,აი ჩემო სულიკო რა, არ ინებებთ ამ წამლის მიღებასა?

— მომიტევეთ ჩემო გულის ვარდო, მე სრულე-

ბით კარგათა ვარ. რას თავში ვისლი წამალსა. ან რა წამალია ეგა?

„ მერე ჯ, რაო, რომ კარგათა ხართ? ამას რომ მიირთმევთ უფრო კარგათ არ იქნებით. განა მეტი კარგად მეოფობა დაგიშლით რასმეს? მერე ეს წამალი ბრჭყალისა არის. ჭა. მიირთვით!

— მერე სად მადგა ბრჭყალი? ეს რომ სთქუა კირილე ჰეტროვიჩმა, არ იეო რომ მოვიდა ხოლერიანს მდგომარეობაში ჯ გაანჩხლდა. მომიტევეთ ფენა სტეფანოვნა, რამ გაფიქრებინათ მრთელის ჯ კარგად მეოფის კაცის წამლობა?

„ოქუფენი წამლობა კი არ მინდა, მე მსურს რომ უფრო კარგათ იყვნეთ ჯ სიმრთელით. აი რა: ამ დილით შკაფს ვალაგებდი ჯ ამასობაში ეს შუშა ვიპოვნე წამლით. სომ გასსოვს ჩემო სულიკო, შარშან რომ ბევრი ჰირროგები ეჭამე ერთს ღამეს, ბრჭყალი რომ დამადგა ჯ ცოტა არ გაწყდა ღმერთს სული არ მიეგებარე. ღმერთმა უშველოს ივანე ფომიჩს, ეს წამალი დამიწერა ჯ მაშინათვე რომ მოვრჩი.

— ეგ თქუენა გქონდათ ბრჭყალი, მე სომ არა? თქუენ იმ ღამეს ბევრი ჰირროგები ჭამეთ ჯ მე წუსელის ვასშამიც არ მიჭამია. ამას გარდა, ეგ წამალი შარშანდელი არის, არაფრისთანა ძალა არა აქუსრა, სჯობს გადააქციოთ.

„მაგას რასა ბძანებთ კირილე პეტროვიჩ! არ მიკვირს თქუენის ჭკუისაგან. ემაგისთანა ჭკვიანი ბ ბრძენი კაცი, მაგას როგორ ანბობთ, გადააქცეიო! როგორ გადავაქცეო თქუენ დალოცვილნო, როდესაც რომ ამ ერთს შუა წამალში ექვსი აბაზი არის მიცემული.

— ლამის გონებითგან შემშალოთ ფენა სტეფანოვნა. ჯან მრთელს კაცს, სრულებით კარგათ მეოფს მომდგომისარ, გინდა თუ არა წამალი დალიეო, აფსუსია, ფული ტეუილად დაიკარგებაო. ძალიან კარგი, ვთქუათ დავლიე, მერე როგორ უნდა დავლიო, ჩაიში, თუ ღვინოში?

„სწორეთ გითხრა, ეგ არ მახსოვს, რეცეფეთიც დაკარგულია, მგონია წასასმელია! თუ არა, მგონია უნდა დალიო. არა არც ეს მახსოვს. ღმერთმან იცის არ მახსოვს, თუნდა მამკალი ასლაეე, არ ვიცი. მაგრამ, ან რა საჭირო არის ვიცოდეთ ჩემო სულიკოჯან, აქ რა ბევრი არის, სულ ბევრი იეოს, ერთი მიღება; თუ ჩემი სიეუარული ბ პატივის ცემა გაქუსთ, ისე გადაულაპავთ, რომ ვერცკი გაიგებ. ეა, ბ, მიირთვით.

— შემიბრალეთ ღუთის გულისათჯს, ფენა სტეფანოვნა! რა ფიქრში მოგსვლიათ ჩემი მასსარათ აგდება? მე მგონია იმ წლოვანებითგან გამოსული ვარ, რომ თქუენ დამიბრიეოთ. მე მსურს ჩემის ჭკუით ვიცხოვრო. მაგრამ კარგი, მიეიღებ, მაგრამ მითხარი წასა-

სმელია, რომ წასასმელი იყოს ჯ დაგლიო, სომ ყელს დაშწომს. თუ გეაფსუსება ფული მიცემული არის, უბოძეთ ჯ, ერთ ერთი ბიჭი დალევს.

„კარგი საქმე არის, ბიჭს ექვს-ექვსი აბაზი ვაუ-ლაპო, სად არის თქუენი ჭკუა, რომ მაგას ანბობთ?

— მაშ გამეცალეთ ღუთის გულისათუს! თუნდა თქუენ დალიეთ, თუნდა ძაღლს დაალევინეთ, ჩემთუს სულ ერთია, ოღონდა თავითგან მომშორდით ჯ ეს გასეთი გამათავებინეთ. ეს რომ სთქუა გაანჩსლებულმა, დაიწყო გასეთის კითხვა.

ფენა სტეფანოვნამ ეს ქმრის გაჯავრება დიდად იწყინა.

„მაშ აგრე არის საქმე, რომ ძაღლებს მადრით? ძალიან კარგი ჯ პატიოსანი! ეგ, აკი არა, დიდიხანია შევნიშნე რომ ცოლ-ქმრობას გასეთები გირჩევნიან; იმას სომ აღარა ფიქრობთ, თუ ცოლს რა იამება! . . . რა კარგი ზნეობა გუმართებათ, რამდენიცა ბერდებით, იმდენი ზნეობაც გეცვლებათ. ასლოს სომ ვეღარ მოგეკარებათ ადამიანი, მაშინვე ჯავრობთ.

უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქუა ტირილით ჯ რა მოვიდა შინ, ჰოლების რეცხასაც თავი დაანება ჯ სხუა შინაურ საქმესაც.

ფენა სტეფანოვნა იყო შემძლე მებატონის ქალი. იყო გაზრდილი, როგორც შეეფერება სოფლის წესსა,

იცოდა სოფლიური სახლის მოვლა, კითხვა იცოდა მსოლოდ ლოცვებისა ⁄ სამოქალაქო წიგნების კითხვა, იმას დიდ ცოდოთ მიაჩნდა. როდესაც შეირთო ქმრად კირილე პეტროვიჩი შპაკი, იმის თავში ჩანერგილი იყო ქმრის შიში ⁄ სიყვარული; ის მიაჩნდა მრთელს ქვეყანასაკენ დიდ ბრძენ კაცად, მაგრამ შინაურ სახლის საქმეში კი, თავის თავს ცოდნაში მაღლა აყენებდა. როდესაც სანში შევიდა, ეს სისუსტე უფრო გაუსმირდა ⁄ როდესაც ქმარს გაამტყუნებდა შინაურს საქმეში, არ დახედავდა თითონ მართალი იყო, თუ სტყუოდა. მამულების მოვლის საქმეში ცოლი სრულებით არ ერეოდა ⁄ რომ ქმარს იანვრის თვეში ეხსა, ცოლი იტყოდა, ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ კაცის საქმე არისო. სახლის საქმეს, მართლად ⁄ ეროგულათ აღსრულებდა. ქათმები ჰყვანდნენ ბლომათ, გოჭებს ინახავდა სუქნად, ინდოური ⁄ ბატი აგრეთვე ჰყვანდა მრავლით უმრავლესი, ნალიეკებს აკეთებდა ხილითგან ჩინებულს; ბორშს, შჩის, მურაბებს, ჰიროღებს ⁄ სხუას, აკეთებდა მშვენიერად. გარეშეთ სოფლებში, ორმოც ⁄ ათი ვერსი რომ მოგვევლოთ, ამისთანა შინაური საქმეების მცოდნე დედაკაცს ვერ იპოვნიდით. ხშირად მოდიოდნენ სტუმრები, რომ იცოდნენ ამათ სახლში ყველა მოიპოვებოდა ⁄ მაძღრათაც მიდიოდნენ შინა! მრთელს სახლს ინახავდა სუფთად. მართლა ⁄ მაღლორთოსიის ქალბატონი იყო.

მხოლოდ ეს იყო იმისი, რომ კოპწიაობა არ უყვარდა, მაინც ის სულ შინ იყო ჯ რა საჭირო იყო, მორთულობა, — ამას გარდა, იმდენი საქმე ჰქონდა სახლში, რომ სადა ჰქონდა იმდენი დრო, თავის თავისათვისაც ეფიქრა. რამწვავს წამოდგებოდა, იუბკას გადაიცომდა, ტიტველა ფეხებზედ ბაშმაკებს ჩაიცომდა, ჯ რა მოიგდება თავის მედიდურს ბეჭზედ ჯ მკერდზედ ეაშიმირის შალს, ნაყიდს რომნახის იარმუკაში 1818 წელსა, ჯერ ილოცავდა დილის ლოცვასა, ლოცვის შემდგომს თავის საქმეებს შეუდგებოდა. მერე კეთილი გულისა იყო! რამდენ ნაირი საქმეები ჰქონდა შინაური, როგორ იქნება საქმე წამსდარი კაცმა არსად ნახოს, მაგრამ ერთხელ არცა ვინ გაულანძღავს, არც შემოუკრავს ჯ არც ეურები უსრესია, იმისი გინება ეს იყო, „რა უგუნური სარო! თუ ერთი რამ შემთხვევა არა იყორა სახლში, მრთელი დღე ამ დილის ტანისამოსში აღამებდა. ერთი დაგვაყოფდა: თავზედ მოხვეული ჰქონდა შავი თავზე მოსახვევი, ესეც ისე ჰქონდა შაქრის სქელ ქალალდზედ გაკეთებული, რომ თუნდა აიღებდა ჯ თუნდა მოისვევდა დილით, რომ ჯაფა არ მოსდომნოდა, ეს სალმრთო კანონათა ჰქონდა, რადგანც ტიტველა თავის დანახვება, დიდ ცოდოდ მიაჩნდა. იმას სჯეროდა, რომ ქმრიანი ქალი კაცს შიშველა თავით არ უნდა სჩვენებოდა, თორემ ან საქონელი გაუწყდებოდა, ან

მოსავალი არ მოუვიდოდა, ან ავათმყოფობა დაერეოდა, მრთელს ოჯახობასა, ამისათჳს ამ შემთხვევაში დიდის სიბრთხილით იქცეოდა.

როდესაც შეიტყობდა სტუმრები უნდა სწვეოდნენ, მაშინ სულ სხუა ცვლილებას მიიღებდა მრთელი სახლი. უბძანებდა მაშინ ლაქიებისათჳს მიეცათ საკუჭნაოთგან ნემესტური ჩექმები ‡ მწვანე მაუდის ხერთუკები; ამასთანავე უბძანებდა მოურავს, ყველა თავთავის ალაგს მდგარიყვნენ; კირილე ჰეტროვიჩს გამოუცხადებდა ჰირი დაებანა ‡ იმასაც ჩაეცვა რიგიანათ; მერე შეუდგებოდა თავის თავის მორთულობასა. ის ჩაიცვამდა სოლმე ჩითის კაბასა, კაპოტის მგზავსად შეკერილსა, თავიდამ მოიხსნიდა საუკეთესო თავსახვევს ‡ იმის მაგიერ გაიკეთებდა მწვანე ჩუჰჩიკსა, შეკერილს ვიდაცა მადამასაგან, ნასყიდს აგრეთვე 1818 წელსა სიმელნსკის იარმუკაზედ.

ის იყო თავის მშობლებისათჳს ერთად ერთი ქალი ‡ მრთელი იმათი ქონება სულ იმას წამოეღო მზითევში, მაგრამ თავის მამულს თავისას არ ეძახდა, ყოველთჳს ქმარს ეტყოდა, თქუენი მამულიო, თქუენი მამულითგან კაცი მოვიდაო. ამითი იმას ამტკიცებდა, რომ რადგანც თჳო ის ქმარს ეკუთვნოდა, მრთელი იმისი ქონებაც ქმრისა იყო.

თუმცა ბევრი შინაური საქმეები ჰქონდა ფენა სტეფანოვნასა, მაგრამ იმდენი დრო კიდე�d რჩებოდა,

რომ ქმართან ლაპარაკში დრო გაეტარებინა,—მხოლოდ ეს იყო მნელი, ქმარი ისე გართული იყო გაზეთების კითხვაში, რომ ამისათჳს ვინ მოაცლიდა. ხშირად იტყოდა ხოლმე ცოლი ᲯᲘᲬᲣᲔᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ: გაზეთები ურჩევნია ჩემს თავსაო, ვინც ეს გაზეთები მოიგონა, ისე გული გაუშავდეს, როგორც გული მე მაქუს გაშავებული. ნეტა ვიცოდე რა შავი ჯირი სწერია იმაში? რასაკვირველია იმაში თუ არ გარეკვნა, ღუთის წინააღმდეგი, სიცრუე, სხუა კარგი არა იქნებარაო! არა თქუენი ჯირიმეთ, თუ ერთი ეშმაკები არ არიან მეგაზეთები, საიდან იციან სხუა ქვეყნებში რა ანბავები ხდებაო. ან რა დასაჯერებელია რასაცა სწერენო. ფარმაზონები არიან, რომ ჩუენ სამღრთო ცოლქმრობის კავშირს არღვევენო.

თითქმის ყოველთჳს ᲯᲘ ყოველ დღე ამას ანბობდა, ფენა სტეფანოვნა, როდესაც კირილე პეტროვიჩი ეომებოდა კარლისტებს ისპანიის ტახტისათჳს. იმ დღეს, როდესაც ქმარმა თავისი ცოლი შეადარა ძაღლსა, წამლის მიზეზით, ფენა სტეფანოვნამ დიდ შეურაცხებად მიიღო ᲯᲘ ცხარეს ცრემლით რა მოჰყვა ტირილსა, ამ დროს შეეიდა კირილე პეტროვიჩი.

— რა გატირებს ჩემო გულის თაიგულო? ᲰᲙᲘᲗᲮᲐ იმან, რა მხიარული სახე შეიცვალა ᲯᲘ შეწუხდა.

„მე თითონ მიკვირს რომ ვტირი, ამისათვს რომ ძაღლი თავის დღეში არ იტირებს.

— ცოტა არ გაწუდა კირილე პეტროვიჩმა თითონაც არ იტირა. როგორ თუ ძაღლი? მაგას რას ამბობ ჩემო მტრედო?

„სწორეთ ძაღლი. მე ჯ ძაღლი ხომ ერთნი ვართ შენთვს?

— ახ ფენა სტეფანოვნა, მე ეგ გითხარი წამალზედ ჯ თქუენ ვერ მიხვდით... თუნდა ძაღლს დაალევინე მეთქი.... ესე იგი... არ ვიცი როგორა ვთქუა... თქუენ ვერ გაიგეთ.... მე მინდოდა მეთქო.... რომ თითონ თქუენ დაგელიათ....

„სთქვი რაცა გნებავთ ჯ მეკი ასე ვფიქრობ, რომ თქუენს თავში მე ჯ ძაღლი ერთი ვართ.

— ახლა რა ვქნა რომ თქუენ აგრე ფიქრობთ.

ამ დროს უცებ კირილე პეტროვიჩმა დაიუვირა. განა თქუენ არ იცით რომ მე ხოლერიანი ვარ? აბა წაიკითხე ბრუსოვის კალენდარი; ჯერ წაიკითხე; იქ ცხადად აღწერილია ჩემი ხასიათი ჯ პლანეტი, რომელშიაც მე დავიბადე; ეველა დაგარწმუნებს რომ მე სწორეთ ხოლერიანი ვარ, მე ისეთის თვსების კაცი ვარ, რომ უცებ ავენთები, ისე შუშხუნს დავიწუებ, როგორც აქაფებული ღვინო; მაგრამ შუშხუნებს ღვინო, მინამ ქაფი აქუს, მაგრამ რაკი ქაფი დასცხრება, ისევე ისეთი

წუნარი ჯ მშვიდია როგორიც ეოფილა. არა სჯობია ჩემო მტრედო. წაიკითხოთ კალენდარი?

„ღმერთმა დასწყევლოს სამოქალაქო წერილები, რა ჩემი საქმეა.

— სამოქალაქოც არის ჯ საღმრთოც, ორივეა ჩემო მტრედო. მაგრამ სულ ერთია, მე მხოლოდ მოველი დაგიმტკიცო რომ ხოლერიანი ვარ.

„ვანა ხოლერიანმა ცოლი უნდა ლანძღოს.

— მეც მაგას ვანბობ რომ თუკი ხოლერიანია, ესე იგი გაანჩხლებული, როგორც მე ჯ, რაკი გადაივლის გაანჩხლება, ხოლერიანი მდგომარეობა, მაშინ ისევე დამშვიდდება, დაწუნარდება ჯ შეინანიებს, თუ რათა თქვა ის, რაც არ უნდა ეთქვა. თუნდა ახლავე მზათა ვარ მოტევება გთხოვო.

„მაშ მოტევებასა მთხოვ?

— ათასჯერ. მე არ მიეკარს, თუ ვინმე დამემდურა; მეტადრე თქუენ. რომ უფრო უკეთ დაგამშვიდო ჯ დაგარწმუნო, მომეცით ის წამალი დავლიო რამდენიცა გსურთ, თქუენ წინ გამოვცლი ერთიანად.

მართლადაც კეთილს კირილე ჰეტროვიჩს უნდოდა დაელია ცოლის ხათრისათჯს, თუ ცოლს არ გადაექცია ის წამალი ჯ შუშა ცარიელი არ შეენახა შკაფში.

ამ სიტუაციებზედ ცოლქმარნი გადაესვიენენ, დაჰკოცნეს ჯ შერიგდნენ კიდეც.

ამათ ჰყოლოდათ თავიანთ ცოლქმრობაში სამი შვილი; ორი ვაჟი და ერთიც ქალი. ორივე ვაჟი დასოცოდათ სიყმაწვილეშივე ეკავილისაგან, მხოლოდ დარჩათ ერთი ქალი, რომელსაცა მინამ თვრამეტის წლისა შეიქნებოდა უწოდებდნენ ბაზინკასა. ამ გასათხოვარ ქალზედ, იმის აღზრდაზედ და რაც შეუდგა იმის ბოლოს, მოვილაპარაკებთ მკითხველებთან შემდგომ ნომერში.

—

(ზოგი მერე იქნება).

ᲡᲮᲣᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲣᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

— აი რას იწერებიან ბაქოდგან: „ზაფხული აგერ გადის, ᲓᲐ წარმიდგინეო ჯერ ერთი კაპლი წვიმა არ მოსულა. გაზაფხული გრილი იყო, ასე რომ საღამოთი თბილათ უნდა ჩაგვეცო, თორემ შეგვცივდებოდა. ახლა ეს სამი კვირა არის, რაც მზე გახურებული შეუბრალებლად გვწომს. მრთელი ერთი კვირა ნიავი არსაიდგან ეოფილა. მაგრამ თუმცა მრიელ სიცხე ᲓᲐ უწვიმობა არის, მაინც სილი სხუა წელიწადებზედ წელს მეტი არის. ადრინდელს წელიწადებზედ წელს უფრო სიმრთელეც მომატებულია ᲓᲐ სიკუᲓილი სალსში ნაკლები, უფრო უმეტესად ემაწვილებში. ზოგიერთა ქალები ავათმყოფობენ მუცლის ტკივილით, მაგრამ ეს უფრო ამისათჯს რომ დაშინებულები არიან შარშანდელის სოლერისაგან, მაგრამ სიკუᲓილით არც ერთი კი არ მომკუᲓარა, მართალია ერთი კაცი მოკვდა შვიდის საათის განმავლობაში, მაგრამ იმას ათი გირვანქა ალუჩა ეჭამა სიკუᲓილის წინათ. დროს ვატარებთ წუნარა ᲓᲐ მშვიდობიანათ, კვირაში ორჯერ ბაღში

იკვრის მუსიკა. 19 იულის მოსდა აქ დესპოტური შემთხვევა, ორს ვერსსედ მოშორებით ქალაქითგან შარა გზაზედ იპოვნეს მოკლული მიზოევის ბრიკასჩიკი, როგორც ჭაქმებმა შეამოწმეს, ის იქ არ მოეკლათ. ის მოეკლათ ქალაქში, მერე გამოეტანათ ⁄ დაეგდოთ ქალაქ გარეთ. რადგანც ადგილობრივ სისხლის კვალი ვერ იპოვნეს, მაშინვე პოლიციამ მეფვაიტონებს მიმართა, ერთი მეფვაიტონე ვერ იპოვნეს, რადგანც ქალაქში არ იყო. ბოლოს სოფლათა ჭბოვეს ⁄ ფაეტონი რა გაუჩხრიკეს, სისხლიანი უპოვნეს. გუშინდლამდინ მეფვეტონე არა ტეტებოდა. გუშინ კი საქმემ სხუა მიმართულება მიიღო, ანბობენ, ვითომც ეს ბრიკაშჩიკი მოუკლავთ სიშურით.

— ბირველს აგვისტოს ანზის ქალაქში მოვიდა წვიმა, რომელსაცა თან ჩამოსდევდნენ ბაყაყები. რკინის გზა გაფუნილი იყო ბაყაყებით ასე, რომ სალხი ბირდია უეურებდა ამისთანა იშვიათს ⁄ საკვირველს ანბავსა. ფიქრობენ ვითომც, ქარიშხალს გადმოეტანოს ეს ბაყაყები ერთის ჯაობითგან, რომელიცა იმ ქალაქზედ ახლო არის.

— ექვს აგვისტოს აი რა მოსდარა ნიაპოლის ქალაქში: იმ ქალაქში სცხოვრებდა ერთი მოხუცებული ეპისკოპოზი ის კი ფილიჩე რომანო. ადგილობრივა მცხოვრებლებს ეს ბერი მიაჩნდათ წმინდა ბერად, რო-

მელიცა ახლა გადაიცვალა, ჯ რომლის მიზეზით ქალაქში მოხდა აღრეულება. დამარხვის დღეს, განსვენებულის სახლი სავსე იყო ხალხითა. იმ დროს როდესაც სამღუდელოანი ქუჩაში შემოსილნი იდგნენ ჯ მუზიკას უნდა დაეკრა დასამარხი მარში, დიდნი თუ პატარანი, დედაკაცნი თუ კაცნი ცდილობდნენ ძალად შევარდნილიყვნენ რომ როგორმე შესებოდნენ წმინდა გვამს. ახლო ქუჩებიც სავსენი იყვნენ ხალხითა. როდესაც გვამი დაბრეს ჯ გამოასვენეს, ერთმა ვიღაცამ შექნა ყვირილი: „საკვირველება მოხდა! სასწაული! ერთს ვიღასაც უსინათლოს მოხვდა კუბო ჯ თვალები აუხილდა! ერთი კიდევ დაბადებითგან კოჭლი იყო, ჯოხებითაც ძლივს დადიოდა, წმინდა გვამს შეეხო, მაშინათვე ჯოხები იქით გადაყარა ჯ ისე დაიარება, თითქოს თავის დღეში კოჭლი არა ყოფილაო; ერთი კიდევ დაბადებით უენოთ, ენა ამოიდგაო. ეს რომ შეიტყო ხალხმა, პოლიციამ ეს ხალხი ვეღარ შეიმაგრა როდესაც გვამი შეასვენეს სასაფლაოზედ, სამნი მოსულნი ვაჟკაცნი მისცვივდნენ განსვენებულს, აიტაცეს კუბო ჰელში ჯ ისევე შემოასვენეს ქალაქში. ხალხი ყვიროდა ერთის ხმით. წმინდა გვამი უნდა ეკლესიაში დაიმარხოსო. მოვიდნენ ეკლესიაში, რომლის მღუდელს ეუბნებოდნენ, ტრაპეზი მოეწმინდა ჯ ზედ დასვენებინათ გვამი. მღუდელმა მთავრობას აცნობა, მაგრამ მინამ

ძალას გამოგზავნიდა მთავრობა, სალხმა ტრაპეზი აალაგა, ზედ დაასვენეს გვამი, რომელიცა გაცარცვეს ⁄ იმისი სამოსელი ნაჭრებად დაიყვეს, როგორც წმინდანისა. თუმცა პოლიცია ჩააგონებდა, რომ სასწაულთ მოქმედების დრო გავიდაო, მაგრამ სალხმა სრულებით თავში არ შეუშო, ის კიდევ უაუანებდა ⁄ თან ზარების რეკას ატანდა ძალასა, ბოლოს როგორც იყო პოლიციამ გამოგლიჯა სალხს ჭელითგან კუბო ⁄ დამალეს ეკლესიის ოთახში, სადაცა მღუდელი იმოსება. საღამომდინ სალხსა ჰქონდა ბრძოლა პოლიციასთან ⁄ მინამ სამსედრო მთავრობა არ მოეშველა თოფიარაღით, ეს სალხი ვერ გაშალეს. როდესაც შუაღამე შეიქნა, პოლიციამ ჩუმათ გაიტანა გვამი სასაფლაოზედ ⁄ იქ მიწას მიაბარეს.

— ერთს ომში, გათავების დროს ომისა, ნახეს მინდორზედ დაჭრილი სალდათები ეეარნენ. ერთი იმათგანი გულ-შეწუხებული, სისხლის მოკლებისაგან, უგრძნობოთ იდო, ხოლო სხუა დაჭრილები შემწეობასაც ითხოვდნენ შველისას. ამ სალდათებისათჳს რომელიცა გულ-შეწუხებული ეგდო, თავის ნაჩალნიკს ეთქო, თუ დაიჭრა, თავი მოიმკვდარე, აღარ მოგკლამენო. ამ დროს მივიდა ერთი ნაჩალნიკთაგანი ⁄ ჰკითხა.

— რაო საუვარელო, შენ რაღა დაგმართვია? სალდათი ხმა გაკმენდილი იყო.

— გამიგონე ძმაო, მე შენ გკითხავ, სადა ხარ დაჭრილი?

ის მაინც ხმას არ იღებდა, ბოლოს მოვიდა ჭექიმი, უნახა მაჯა, უცემდა. სახე წამოწითლებული ჭქოდა, როგორც საღსა ტ ჯან მრთელსა.

— ადექი ძმაო, ადექი, ეუბნებოდა ჭექიმი. ის მაინც არ ინძრეოდა, ბოლოს დაუძახა ფერშალს მოუტანა წყალი ტ შეასხა, თუმცა წყალიც შეასხეს მაგრამ ის მაინც ხმას არ იღებდა.

ამ დროს მოვიდა გენერალი ტ უკამანდა ამ სიტყვით: ფეხზედ დადექ! ეს რომ გაიგო სალდათმა მაშინვე ეოჩაღათ ფეხზედ წამოსტა.

— რატომ არა დგებოდი ჩემო ძმაო, მერომ გეუბნებოდი? ჭკითხა ჭექიმმა.

— მკვდარი გახლდით შენი ჭირიმე, ღენერალმა მიბძანა თავი მოიმკვდარე, თუ გინდა არ მოგკლანო. მიბძანეთ ავასრულე, ახლა მიბძანეთ ადექიო ტ აი ვდგები თქუენნო აღმატებულებავ!

— ერევნის გუბერნიითგან, ხოფლით ინგირიდან აი რას იწერებიან: აგერ რამდენი დღე არის ჩუენს ხოფელში დიდი სიცხეები არის. კიდევ კარგი რომ აქ ბაღები ხშირათ არის, რომელნიცა აგრილებენ ჭაერსა, თორემ შენი მტერი იყოს, როგორც ჩუენი საქმე იქნებოდა. აქაურნი მცხოვრებნი ამ სიცხეს ისე შეჩვე-

ულნი არიან, რომ თითქოს ვერასა გრძნობენო. მრთელი დღე დგანან ცხარე მზის ქვეშა ⁄ მკიან ეანებსა; დედაკაცები თავიანთ შვილებით აგრეთვე დადიან მინდვრებზედ ⁄ რაც შეუძლიანთ მუშაობენ, აი დღეს სამი თვე იქნება, რაც წვიმა თვალით არ გვინახავს. ნახევარ იუნისის თვემ განვლო ⁄ მრთელმა იულისის თვემაც გაიარა რომ წვიმა სრულებით არა ეოფილა.

— ჩუენნი საქართველოს ხალხი ძრიელ გულგრილად უეურებს მოსავლობას. აგერ რამდენი წელიწადი იქნება ერთმანერთზედ ხან სეტევა გვაძლევს ზიანსა, ხან ეურძნის სნეულება, ხან უწვიმობა ⁄ ხან ვინ იცის რა, რა ძნელი იქნებოდა ჩუენნის სოფლის საზოგადოებას გამოედო თავს და დაეფუძნა საზოგადოება, რომელსაცა დაეწესებინა ფულის ბანკი, ჰურის მაღაზიები ⁄ ამ გვარები. ეს რომ ასე მომხდარიეო, მაშინ ეს შეჭირვება აღარ იქნებოდა, რასაცა ახლა ვხედავთ.

— ერევნითგან იწერებიან საძუსარო ანბავსა ჰურის მოუსავლობის შესახებ. ჰურის მოუსავლობის მიზეზი ეველგან უწვიმობა არის, მაგრამ რომ დიდძალი ჰური არ გაეტანათ სპარსეთში, საცაცა შიმშილობა არის, კიდევ ასე სიმვირე ჰურისა არ იქნებოდა, მაგრამ დღესაც იქ დიდ ჰურს ეზიდებიან, რომლის მიზეზით უფრო ⁄ უფრო ძვირდება ერევნის გუბერნიაში ჰური.

— ბერლინში ერთმა ცამეტის წლის უმაწვილმა ვაჭრის შვილმა თავი დაისრჩო, იმან დაუტოვა ჰატარა ბარათი თავის თავის დასრჩობის წინ, სადაცა სწერდა, რომ თავისი სიკუდილის მიზეზი იყო ერთი თერთმეტის წლის ჰატარა ქალი, რომელიცა უყვარდა: „რადგანც იმედი სრულებით არა მაქუს, რომ როდისმე შევირთავ ცოლათაო, ამისათჳს ისევე სიკუდილი ვირჩიეო. გთხოვთ უკანასკნელად კიდევ ერთი მომიკითხოთ ის ჩემი სიკუდილის მიზეზიო“.

— საექიმო აკადემიაში რუსეთში გაუსსნიათ ქალებისათჳს საექიმო კურსი, სადაცა ამზადებენ ქალებს ექიმებათ, ბებიებათ ⁄ სსუა. ამ საგნისათვის დაუდვიათ ხუთი ათასი თუმანი, რომლის სარგებლით უნდა სწავლობდნენ ეს ქალები.

— ნიუნი ნოვგოროდში დამწვარან რამდენიმე ხომალდები, საიდანაც გადასულა ოკის მდინარის ჰირს ⁄ ახლა იქ გადამწვარა ბევრი საეაჭრო საქონელი. ანბობენ ზარალი ერთ ბილიონამდინ არისო. ასი მეტი ხომალდი დამწვარა.

— დაღისტანში, გაზაფხულზედ მეტის უწვიმობით რაც რამ ეანები იყვნენ სრულებით გახმენ; სადაც მთიანი ადგილები იყო, იქ ძრიელ კარგი მოსავალი იყო. ახლა, როგორც იქიდან გვაცნობებენ, იულისის თვე არის ⁄ დაიწყეს მკა, თუ ზოგიერთა მთიანს ალა-

ვებში, კარგი მოსავალი არ მოსულიყო, ფუთი ბური უნდა ასულიყო ერთ მანეთამდინ იქვე ადგილობრივ. სიმიდიც იმედი არის კარგი მოვიდეს. ჩაჩანში სიმიდს ძრიელ ბევრსა სთესამენ ⁄ ძრიელ ბევრი გააქვსთ დაღისტანში, სადაცა სიმინდი თუ ბური საკმაოდ არ მოსდით. დაღისტანში ეურმანი ამ წელიწადს, ჯერამი, მსხალი თუ ვაშლი ძრიელ ბევრი მოვიდა.

— ბარიქში ამ ახლოს სანში გამოსცადეს ჰაერით მოგზაურობა ამისი გამგონი ახლა გამოჩენილა ერთი ამირიკანელი მეხანიკი გვარად ლუკანი, ეს მსწავლული მეხანიკი მუცელედ იკრავს დიდს ტომარასა, რომელიცა გაბერილი არის გაზით; ბელებზედ ⁄ ფეხებზედ გაკეთებული აქუს, თითო წუვილი ფარჩეულისაგან შედგენილი ფრთები, რომლით საითკენაც უნდა, იქით მსარეზედ მიფრინავს. ის რომ აფრინდა ბარიქში, დიდსანს დაფრინავდა სსუა ⁄ სსუა ბარიქის ქუჩების თავზედ.

— ერთს რუსნთის გენერალს, გვარად ჩერნიავსკის, თავის სიკუდილის წინათ ამ ახლოს სანში, შეუწირავს მთავრობისათჯს ექვსი ათასი თუმანი, იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელი მოხმარდეს ქალების განათლებასა.

— კერჩში მდინარი 17 იულისს ისე ადიდებულა, რომ მრთელი ქალაქის ქუჩები წელით ავსილა ⁄ ქუჩა

ქუჩა თურმე ნავებით დადიოდნენ ხალხის მოსარჩენლად დახრჩობისაგან.

— ერთს ჰირუტეუვების მასწავლებელს ნიო-იორკში, უსწავლებია რამდენიმე ათასის ბაუაუებისათჳს ერთ ხმაზედ გალობა. ეს ბაუაუები უნდა გაიგზავნენ ბისტონის ქალაქში, ერთს სახალხო დღესასწაულის დღეს, რომ იქ აგალობონ. იმათ უმზადებენ საკუთარს ჭაუსსა, საცა უნდა ჩასხან საგალობოდ; მაგრამ თუ კარგად ვერ იგალობა რომელმანმე ბაუაუმა ⁄ ან აურია სხვების გალობა, მაშინ იმას დაჭკლამენ საჭმელათა.

— ვენაში ერთი ბანკირი არის, ესე იგი დიდი ფულის პატრონი, რომლის გვარი არის შპრინგერი ⁄ რომელმაცა ასესხა პარიჳის მთავრობას ოთხასი მილიონი ფრანკი. ამ ფულის ფოჩტით გაგზავნა პარიჳში მნელი იყო ⁄ ამისათჳს ბანკირის სახლმა დაიქირავა საკუთრად რკინის გზაზედ ვაღონი ⁄ იმითი გაისტუმრა. ბანკირის კანტორის წინ მრთელი დღე რამდენიმე კარეტები ტრიალებდნენ. დილითგან მოკიდებული ბანკის მსახურები ეზიდებოდნენ ოქროს, ვერცხლსა, ⁄ ბილეთების პაჩკებსა. როდესაც უკანასკნელი ერთი მილიონიც ჩააწყეს კარეტებში, ორის ჩინოვნიკით გამგზავრდნენ რკინის გზის სტანციისაკენ. როდესაც აწყობდნენ ამ ფულებს ვაგონებში, მაყურებლები პირღია ⁄ გაშტერებული უყურებდნენ ამ ფულსა, როდესაც

სულ დაანუეს, შეშარტეს თოკებით, დაბეჭდეს ⁄ გაისტუმრეს ჰირ ⁄ ჰირ ჰარიქში.

ანბავი მომსდარი შვეიცარიაში.

ვინც ეოფილა შვეიცარიაში, იმან უნდა იცოდეს, თუ როგორ აკეთებენ ქოხებს, რომელსაცა ეწოდება შალე. ეს არის წმინდა ⁄ ფაქიზი სახლი, გაკეთებული მშვენიერს მწვანე მინდორზედ, ამისთანა სახლში ეოველთჳს იპოვნის მგზავრი მსუქანს ⁄ სურნელებიანს ნალებსა, მშვენიერს ეველსა ⁄ ახალს რძესა.

ამ სახლს ქოხს უწოდებთ, მაგრამ ისეთის სიხუფთავით არის გაკეთებული შიგ ოთახები, რომ მნახველს მეტად ესიამოვნება. რომელიც ამ სახლში ჰირველი ოთახები არის, იქ უდგანან ბრონეები; მომლელი კაცები უბრალო ოთამხებში დგანან. სინათლე შეუდის მრთელს სახლს ბუხრის მილითგან, სადაცა არის სამზარეულო. ქურები არის დადგმული ოთახის შუა გულს; ამ ქურებზედ, ჭკრიოგან რკინებითა ჭკიდია დიდი საარაეე ქვაბი, რომელშიაც აკეთებენ ეველსა.

შვეიცარიაში, შიგ ⁄ შიგ დიდი ვრცელი მინდვრებია, რომლის პატრონებსაც უჭირავო ეველას თავთა-

ვისი ადგილი, ძროხების სამოვრად, ეველას თავთავისი სახლები აქუს, ეველის გასაკეთებლად ჯ რომ ნახოს კაცმა კვირაობით ამ სალხის კრება, კარგ სუფთა საზოგადოებად ეჩვენება. ამ საზოგადოებაში ჰირველი ჯ ჰატიოსანი კაცი ის არის, ვინც აკეთებს ეველსა, რომელსაცა ჩუცნში უწოდებთ გალანცკის ეველს.

იქ დიდად ჰატივსა სცემენ ეველის გამკეთებელსა, ამისათუს რომ ის კაცი მკითხაობს კიდეც ჯ მკითხავი მდაბიო სალხს დიდად ჭკუამთ, ამასთანავე იცის წამლობა ჰირუტეველებისა, დაკარგულს ძროხას იპოვნის, მგელს ჰირს შეუკრავს, რომ თუ ძროხა გარეთ დარჩა ღამე, არ შეჭამოს; თუ მოიპარა ვინმემ, შეიტეობს ვისაც მოუპარავს. რადგანაც ეს ოსტატი ეველის გამკეთებლები მოდიან იმ მსრითგან, რომელს მხარესაც ეწოდება გრუვერია, ამისათუს იმ მეეველესაც გრუვერიანს ეძახიან, გრუვერიანები მიაჩნიათ იქ ჯადოქარათ. იმ მდაბიო სალხსა სწამს რომ, სახლში ზოგი ერთს ალაგს ვითომც ალქი ბუდარაობს ჯ ამ გვარი ეშმაკეულის გაგდება შეუძლიან გრუვერიანს, ერთი ამ გვარი საქმე, რომ ალქი შეეჩვია ერთს სახლს მოსდა შვეიცარიაში, რომელსაცა ასლა უანბობ მკითხველსა.

ერთს მდიდარს შვეიცარიის მამულის ჰატრონსა ჰყვანდა ერთი მშვენიერი ქალი, დედ-მამანი ძრიელ ამპარტავნებდნენ ამ ქალით ჯ თითქმის ტირიდნენ

მოლმე სიხარულით, როდესაც გაიგებდნენ ამის ქებასა; ის ქალი, არა თუ მარტო ლამაზი იყო, ის იყო კეთილის გულისა, მშვიდი ⁊ შრომის მოყვარე; რასაკვირველია ამისთანა ქალს ბევრნი თაყვანის მცემელნი ხუზობელნი ეყოლებოდნენ, მაგრამ ვერც ერთს ვერ გაებედნა ⁊ ვერ შეესედნა სიყუარულის თვალითა როზასათჳს, რომელიცა ყოველთჳს იჯდა დედის გვერდზედ ⁊ ისმენდა ზოგიერთს დარიგებასა.

როდესაც ზამთარი დადგა, მაშამ დაუჭირა ასლო სოფლითგან მასწავლებელი უმაწვილი კაცი. ეს მასწავლებელი იყო შვილი ერთის საწყალის ღარიბის დედაკაცისა, რომელსაცა შვილი კარგად გაეზარდნა. ეს უმაწვილი კაცი გონიერი იყო, მაგრამ სიღარიბისა გამო გაუბედავის სასიეთისა, მაგრამ ლამაზის სასიათისა კი იყო. მასწავლებელმა ეს ქალი ძრიელ შეიყვარა, მაგრამ როგორ გაებედა ამაზედ წარმოეთქო რამე, როგორც ღარიბსა ⁊ საწყალსა; რომელიცა ჩუმჩუმათ უყურებდა ⁊ არ იყო თვალებზედ უიმედო ცრემლები გადმოსცვივდებოდა, ქალი ძრიელ კარგათ სწავლობდა ამისათჳს, რომ სიყვარულის ალი იმასაც მოედო გულში. ან ერთი, ან მეორე, როგორ გაბედავდნენ, ეთქვათ რამე ერთმანეთისათჳს, თუ არ მისცემოდათ შემთხვევა, რომელმაცა გამოათქმევინა ორივეს თავიანთი ეულის ვრძნობა. რამდენიმე დღე მოუწევეტლივ თოვ-

ლი მოდიოდა; კვირა დღე იყო, რომ მზე სრულებით მიმალული იყო ღილით, ჯ როდესაც გამოანათა მზემ თავისი სხივები, მაშინ ოთხკუთხივ თოვლმა ბრწყინვა დაიწყო; ჩუჩანი მასწავლებელი, წავიდა ეკკლესიაში წირვის მოსასმენლად! მრთელი სოფლის სალხი მოეშურებოდა აგრეთვე წირვაზედ, კაცები მიდიოდნენ წინ ჯ ბილიკსა ხსნიდნენ, უკან მისდევდნენ ქალები, უმაწვილები ჯ სხუანი; თჯთან როზა ჯ იმისი მშობლებიც იქ მოვიდნენ. როდესაც შინ დაბრუნდნენ რა წირვა გამოვიდა, როზა ჯ თავის მასწავლებელი, როგორღაც გზაზედ მარტო ორნი დარჩნენ; განგებ თჯთანა ქნეს, თუ ისე როგორღაც მოუვიდათ, ეს არ ვიცით. პირველად ეს ორნი ჩუმათ მოვიდოდნენ, ბოლოს როდესაც სოფელს გამოსცილდნენ, უმაწვილმა მასწავლებელმა დაიწყო ჩივილი, დამდურება თავის სიღარიბეზედ ჯ ბოლოს რა გული შეიმაგრა, სთქუა.

— იცი რა, როზა? დედა ჩემი რომ ისე ღარიბი არა ყოფილიყო, ჯ მამა-შენი ისე მდიდარი, მაშინ რას ვიქმოდი?

ქალი რა მაშინათვე მიხვდა, რაზედაც ანბობდა, არა მიუგორა, მერე თავი რა ჩაჰკიდა, ჩუმის ხმით ჰკითხა:

— მაშინ რას იქმოდი?

— ცოლად შეგირთავდი! თანახმა არ გახდებოდი?

იმან შეხედა ნაზის ალერსით, რომელიცა ნიშნავდა

თანხმობასა; მასწავლებელს უნდოდა გადაკვეთით შეეტ-
ეო, თანხმა იეო თუ არა, მაგრამ როზა ვერა ბედამდა
ჰირ ⁄ ჰირ გასტესოდა სიეუარულს,; ბოლოს იმდენი
ქმნა ემაწვილ-კაცმა, რომ ათქმევინა, რომ მრიელ კმა-
ეოფილი ვიქნები, ეგ საქმე რომ მოხდესო ⁄ რაც მე
შემესება, სხუა ქმარს ჩემს დღეში არ შევირთავო. ასე,
ამ სახით ნაზათ რომ ლაპარაკობდნენ, უცებ ადგა ქა-
რი, შეიქმნა ბუქი, ბილიკები დაიფარა თოვლით, ⁄
ამ ორთა მოსიეუარულეთა, რამდენიც გზა გავლეს იმ-
დენი უფრო აერიგათ ბილიკები, იმათ ვეღარ გაარჩიეს,
ვეღარც სეები, ვეღარც ჯაკები, გარემო აურიდა იმათ
თოვლსა, ბოლოს ცალკე სიცივით, ცალკე დაღალუ-
ლებით ისე ქანცი გაუწედა ქალსა, რომ უგრძნობო,
გულშეწუსებული დაეცა ერთს ალაგს. მასწავლებელს
დაავიწედა თავისი თავი, ის მსოლოდ ფიქრობდა თა-
ვის საცრეოზედ. რა ამაოდ ცდილობდა მოეევანა ქალი
გრძნობაში ⁄ ვერა უშველარა, იმან აიეანა ის ველში
⁄ შეუდგა გზასა ამ ძვირფასის საუნჯითა. მალმალე
შედგებოდა, დაისვენებდა ⁄ რა ეშინოდა როზა არ გა-
მიეინოსო, მოიხადა თავისი ჰალტო ⁄ წამოასხა ქალ-
სა, ბოლოს ქალი მოვიდა გონსა ⁄ მეტის მეტად
იამა, რა იგრძნო ამისთანა სიკეთე ⁄ გულმტკივნეუ-
ლება თავისის მასწავლებელის ემაწვილის კაცისა;
ისეთს მადლობის გრძნობაში მოვიდა, რომ იმ დროს

ქამა შეხვედროდა, შეუპოვრად ეტყოდა, ეს უმაწვილი კაცი მრიელ მიუვარს ⰴ ამისმეტს ვერავის შევირთამო; ამ აზრს თავის მასწავლებელსაც გაუტუდა ⰴ ჰირ ⰴ ჰირ უთხრა, მაგრამ ამასთანავე ურჩივა, სიფრთხილით მოქცეულიეო, რომ ჯერ არავის შეეტყო, იმან აღუთქვა მტკიცედ აღესრულებინა ეს იმისი სურვილი, ქარი ⰴ ბუქი დამშვიდდა, კარგად ღამე იყო, რომ ძლივს მოაღწიეს შინა. მრთელი სახლობა დიდს შეწუხებაში იყო, როზას დაკარგვაზედ ⰴ როდესაც ნახეს, რახკვირველია გამხიართლდებოდნენ ⰴ მიზეზსაც აღარ იკითხავდნენ, რადგანც დარწმუნებულნი იყვნენ, სოფელში დარჩომილან ⰴ ბუქს დაუშლია მალე მოსვლაო. როზა მეორეს დღეს ვეღარ ადგა ⰴ ქვეშაგებში იწვა; მესამეს დღეს წამოდგა ⰴ ჩვეულებრ შეუდგა სწავლასა. საქმე ისე მიდიოდა, როგორც ადრე.

უმაწვილობის დროში, მეტად ძნელია კაცი თუ ქალი, ისე სიფრთხილით მოიქცეს რომ ვერავინ რა შეუტყოს, დედამ შენიშნა, რომ ერთმანერთს ისინი როგორღაც მეგობრულად ექცევიან, დაუწყო თვალყურის დევნა ⰴ ბოლოს დარწმუნდა, რომ თავის ქალს მეტად უყვარდა მასწავლებელი. იმან გამოჰკითხა თავის ქალს ⰴ ესეც გულწრფელებით გაუტუდა დედას. ქალმა გაბედვით უთხრა, რომ იმისმეტს ის ქმარს ვერ შეირთავდა, თუმცა ბევრი ურჩიეს ტირილით როგორც დე-

დამ, ისე მამამ, დედა დარწმუნებული იყო ქალის გულკეთილობაზედ ⁄ იცოდა, ამითი თუ როგორ უბედურებას მიეცემოდა. ბევრს ელაპარაკა მამა, ბევრი არიგა, მაგრამ ვერაფერმა ვერ იმოქმედა ემაწვილ ქალზედ.

ერთხელ დაუძახა შვილებს, შემოიკრიბა გარს, დაიბარა მასწავლებელიც, რომელიცა ძრიელ დატუქსა ⁄ გააგდო სასლითგან; ამდროს როზა მინდორში იყო დედასთან ⁄ ეს მასწავლებელი ისე წავიდა გულმოკლული თავის სახლში, რომ როზას არცკი გამოსთხოვებია. როდესაც სადილზე დასხდნენ, როზამ ნახა, რომ თავისი სიყუარულის საგანი იქ აღარ იყო ჩვეულებისამებრ; ის მაშინვე მიხვდა ⁄ ტირილი დაიწყო; ის აუვედრიდა მამას, თუ როგორ ითხოვდა იმ ემაწვილს კაცს, რომელიცა ინახავდა ამითი ღარიბს მშობელსა; ის აღუწერდა გულმტკივნეულად, თუ რა ეშველებოდათ იმ სასტკის ზამთარში ან დედას ან შვილს. „იმას უუვარდი მე, ანბობდა ქალი, ⁄ არაოდეს არ გაუბედავს იმას ჩემთჳს ეთქუა რამე; მეშინის მამავ, რომ ამისთანა უსამართლოებამ არ მოაყენოს ღმერთმან ჩუენზედ რისხუა თავისი; რომ ჩუენ ოჯასობას არა შეეთხვესრა“. ამ წინასწარ სიტყვებმა შეაძრწუნეს მოხუცი, მაგამ იმან დაფარა თავისი შინაგანი გულის გრძნობა.

ამ ღიღვან როზა მარტო ვეღარ დაიარებოდა

ეკლესიაში, იმას მისდევდა ხოლმე თანა დედა; რასაკვირველია მველი მასწავლებელი ეოველთჳს იქ იქნებოდა, თუმცა იმ ეკლესის მღუდლის მრეველი არ იო. იმას ჰქონდა მშვენიერი ხმა ⰴ მღუდელი ეოველთჳსა სთხოვდა ეგალობნა წირვის დროს, როზა სიამოვნებით ეურს უგდებდა იმის ხმასა, იმას უსაროდა ⰴ ჰგონებდა რომ ის საკუთრივ იმისათჳსა გალობდა, მაგრამ მაინც ეს ასე იო, როზა, როდესაც თავდებოდა წირვა ⰴ გარეთ გამოდიოდა, ქალებში ჩადგებოდა სალაპარაკოთ ⰴ დიდად უსაროდა, როდესაც აქებდნენ ასალგაზდა მგალობელს. დადგა ზაფხული ⰴ როზას წინასწარმეტყველობამ დაიწყო თავისი მოქმედებაი. დიდი უბედურება კი არა მომხდარარა; ავათ არავინ გამხდარა, არცა ვინ მომკედარა, არც საქონელი დაკარგულა, მაგრამ მრთელი სახლი სულ გადაირივ-გადმოირივა, აირივ-დაირია; მწყემსები ⰴ მოჯამაგირები გადიოდნენ ⰴ აღარ დგებოდნენ; ვინც დარჩა, იმათაც ღამით მოსვენება არა ჰქონდათ ⰴ ეველა დარწმუნდა, რომ თუმცა მრთელი ოჯასობა კეთილის ქცევისა ⰴ მლოცველი იო, მაგრამ ალქი დასახლდა ამ ოჯასში.

პირველად შენიშნეს, რომ როდესაც გუთანს ღამე მინდორში გაუშვებდნენ, ვიდაცა იმ ღამეს აჭკრეფავდა, თოკლებს დამალავდა, ან კიდევ სუსულ სადმე ჩამოჭკიდებდა; არ შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ეს საქმე ქურდს

ჩაედინა, ამისათჳს რომ არაფრისთანა არა იკარგებოდარა. მოჯამაგირეები გაიტანდნენ ქერს მინდორზედ დასათესავად, მეორეს დღეს ნახამდნენ რომ ქერის მაგიერად საკალოში შვრია იყო, ძროხებს მინდორზედ რომ გამოუშვებდნენ დილით, ნახავდნენ რომ ბლავილით შინ შემოცვივდებოდნენ არეულ-დარეულნი; საღამოზედ ძროხები რომ მოვიდოდნენ, ნახავდნენ რომ ყველანი შეშინებულები იყუნენ, თითქოს მგელი მოსდევთ უკანაო; თითქმის ძალიც მივარდა შინ შეშინებული ეუფით. როსა ყველასზედ მეტად იკვირვიდა ⁊ როდესაც მამა ამაზედ იტყოდა რასმეს, ქალი ეტყოდა: „აკი გეუბნებოდი მამავ“. რამდენიმე დღის შემდგომ ასლა სახლში შეიქნა უწესობა. სან ბუხრითგან ცეცხლი, ან შეშა გამოვარდებოდა, სან ქვაბი საჭმლით სავსე ზედადგრიდგან გადმოვარდებოდა, ხან ეუთებს ანუ ზანდუკებს ნახავდნენ რომ გადმოგდებული იყო ⁊ რაც შიგ იყო მიწაზედ გაბნეული; ღამით მძინარეს საბანსა ხდიდნენ ⁊ ნახამდნენ დილით რომ გარეთ ეგდო, თავლის კარებები, ფარესისა, ⁊ სხვა ოთახების კარები რაც უნდა მაგრა დაეკეტნათ, ნახავდნენ რომ მეორეს დღეს ღია იყო. ბოლოს ძროხებმა წველას უკლეს ⁊ მერე სრულებით აღარ მოიწველეს; რძე იჭრებოდა ⁊ ისე სდებოდა რომ სულ ერთიან უნდა გადაეღვარათ; მრთელი დღე მუშაობდნენ სახლში, ⁊ გროშისას კი ვერას რჩე-

ბოდნენ. ზოგჯერ თავლაში, ლელის მაგიერად ნასავდ-
ნენ რომ საქონელს აბრეშუმივით თიკვა ეკარათ, ერთ-
ხელ თავლაში, სადაც საქონელი ება ⁄ საკუჭნაოში,
ეაუანი შეიქნა; ცხენებმა აწყვიტეს ⁄ შექნეს ტლინკები;
ძროხებმა დაიწყეს ბღავილი ⁄ სირბილი; როდესაც
მივიდნენ სანასავათ, ჭრაქი გამქრალი იყო, ძლივს
ცეცხლი იშოვნეს, რომ სამთელი აენთოთ, როცა აანთ-
ეს, ნახეს რომ ცხენები კუდითგან იყვნენ დაბმულები,
ყველა გაოცდა; ბოლოს შემოესმათ ჭერითგან ერთი
დიდი სარხარი. ღვდელი მოიყვანეს, გაანათვლინეს ყვე-
ლა სადგომები, მაგრამ სრულებით ვერა უშველარა;
როდესაც შინათკენ მიდიოდა ეს მღუდელი, ნახეს რომ
იმის წინ ლერწამი გაეშალათ ⁄ გამშლელი კი ვერა-
ვინ ნახა. ერთ ღამეს, ეზოში რომ სასლის ჰატრონი
გამოვიდა, ვიღაცამ უკანიოგან ხელი წაავლო, თმები
მაგრა დაუჭირა ⁄ წაუჩურჩულა: „შენი ცოდოები, რო-
გორმე გაისწორე, თორემ უფრო ცუდი მოგიყვა“. იმან
მოისედა, ბევრს ეძება, მაგრამ ვერავინ დაინახა. იმათს
ყველის გამკეთებელს, რომელიცა იყო ჯადო-ქარი ⁄
შელოცვა იცოდა, არ იცოდა თუ რა ექნა; თჯთან იმა-
საც ეშინოდა, ამისათჯს რომ ეს ალქი, იმას უფრო
ბევრს ოინს მოსდიოდა. იმისის რჩევით, თავლის ზე-
მოთ ჩარდახში, ბევრჯელ აწყობდნენ ერბოს, ყველს,
ნაღებს ⁄ კვერცხებს, განვებ, შეეტეოთ ქურდი სომ არ

დაიარებოდა, რომ მოეპარა; მაგრამ მეორეს დღეს ნახვედნენ, ეველა იქ იყო, არავის წაეღო, მაგრამ სულ ერთიან მიწაზედ დაეღვარა. ეველის გამკეთებელი ჯადოქარი, მოელაპარაკა სხუა ეველის გამკეთებელს ჯადოქრებს ამ საქმეზედ, იმათ მისცეს ზოგი ერთი რალაცა ბალასი, რომ ესრჩოლათ ოთახებში, მაგრამ ვერც ამან უშველა; იმ დღეს ალქი, უფრო უარეს მოასდენდა ხოლმე.

ბოლოს რისეოფით თანახმა შეიქნა. როზა სიხარულით აენთო, როდესაც ნახა რომ მამა ᲯᲑ თავისი საქმრო, ერთად შევიდნენ იმასთან. დიდხანსა ლაპარაკობდნენ სამნი ერთად, ბოლოს დალოცეს რა მშობლებმა ცოლქმარნი ერთმანერთს გადაეხვივნენ, რამდენიმე დღის შემდეომს ქორწილი გადაისადეს, ᲯᲑ იმ დღითგან ალქის სსენებაც აღარ ეოფილა სახლში. როდესაც მამა იტეოდა, სიძის წეალობით მრთელს სახლში მშვიდობა ჩამოვარდაო; მაშინ ეს სიძე თავის ცოლს როზას შეხედავდა ᲯᲑ ერთმანერთს გაუცინებდნენ.

1872 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმეოფება კუკიის ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено Цензурою. 30 сентябръ. 1872 г.